



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბულაძე გიორგი უშანგის ძე

ბულაძე გიორგი უშანგის ძე (დ. 24. IX. 1956, თბილისი), ფერმწერი. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1981, კ. მახარაძის კლასი). 1989-იდან იქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას, ხოლო 1992-იდან – საქართვე. შ. რუსთაველის სახ. თეატრ. და კინოხელოვნ. ინ-ტში. სამხატვრო სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1981-იდან. 1987-იდან საქართვე. მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანია. ბ-ის ნამუშევრები გამოიჩინა ეროვნულობის მძაფრი განცდით, ისტ. სიტუაციის ღრმა გააზრებით. შემოქმედის მხატვრული აზროვნების თავისთავადობას განსაზღვრავს ფერწერულ-ხატოვანი მეტაფორები, მეტყველი კოლორიტი. ნამუშევრები: კომპოზიცია „რესტავრაცია“ (1985, წლის საუკეთესო ნამუშევარი), სერიები „ქართლის ცხოვრება“ (1978, ორივე საქართვე. სურათების გალერეა, თბილისი), „ეჭვთივე თაყაიშვილი“ (1988, მხატვრის კუთვნილება), „საჩუქარი პრინცესასათვის“ (1988, საქართვე. სურათების გალერეა), „საქართველო“ (კედლის მხატვრობა, 1989, გვრ, ბერლინი), მეგასერია „აპოლონური ტრაგედიები“ (1990), „დანტე“, „ჯვრის ზიდვა“ (1993, ორივე მხატვრის კუთვნილება) და სხვ.

ბ-ის ნამუშევრები გამოფენილი იყო მრავალი ქვეყნის (აშშ, იტალია, გერმანია, ბელგია, ავსტრია) ქალაქებში. 1990 მისმა ნამუშევარმა (ქართვე. მხატვართა ჯგუფთან ერთად) დაიმსახურა საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი. 1993 თბილისში მოეწყო ბ-ის პერსონალური გამოფენა.

ი. ქარაია
